

ISSN 1987-6890

განმარტვეთილბო

EKONOMISTI

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

International Scientific-Analytical Journal

6

2 0 1 2

UDC33

ე-49

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

დეკემბერი **6** 2012

მთავარი რედაქტორი რამაზ აბუსაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები:
ვლადიმერ კაპაგა, ავთანდილ სილაგაძე, ლეო ჩიქავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები:

იური ანანიავილი, როზეტა ასათიანი, თემურ ბერიძე, ბიორგი ბერუღაშვილი, ვახტანგ ბურღული, რევაზ გოგოხია, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატაშვილი, იაკობ მუსხია, ელგუჯა მამყაბიშვილი, სოლომონ აპვლიაშვილი, შანგი სამაღაშვილი, როლანდ სარჩიშვილი, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შინგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჭითანავა, ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი.

ეკონომიკის დოქტორები:

ნანული არეშაძე, ნანა ბიბილაშვილი, მირაზ ბგვლესიანი, შალვა ბობიაშვილი, ლინა დათუნაშვილი (კასუხისმგებელი მდივანი), გულნაზ ეროგაიშვილი, ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, ანსორ კურატაშვილი, თეა ლახარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), იზა ნათელაური, დალი სოლოღაშვილი, ნოდარ ხაჯური, მამუკა ხუციშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ჯავახიშვილი.

უცხოელი წევრები:

ანა ახვლედიანი (დიდი ბრიტანეთი, კასუხისმგებელი მდივანი უცხოეთში), ლარისა ბელინსკაია (ლიტვა), ელდარ ისაილოვი (აზერბაიჯანი), ბინდრა კანაუსკინენ (ლიტვა), დავით კურტანიძე (აშშ, მთავარი რედაქტორის მოადგილე), ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია), მიხეილ როკიტელიშვილი (აშშ), სლავომირ პარტიციპი (პოლონეთი), დიმიტრი სოროკინი (რუსეთი).

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.

თბილისი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Paata Gugushvili Institute of Economics

EKONOMISTI

International Scientific-Analytical Journal
Published from January 2009

December **6** 2012

Editor-in-Chief Ramaz Abesadze

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

Leo Chikava, Vladimer Papava, Avtandil Silagadze

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Eter Kharashvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Solomon Pavliashvili, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze.

DOCTORS OF ECONOMICS:

Nanuli Arevadze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili (executive secretary), Gulnaz Erkomaishvili, Shalva Gogiashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Anzor Kuratashvili, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Dali Sologhashvili.

FOREIGN MEMBERS:

Anna Akhvlediani (Great Britain, executive secretary abroad), Larisa Belinskaja (Lithuania), Eldar Ismailov (Azerbaijan), Gindra Kasnauskiene (Lithuania), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Vladimir Menshikov (Latvia), Slawomir Partycki (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia).

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

Tbilisi

ს ა რ ჩ ე ვ ი

მნიშვნელოვანი ღონისძიება	5
წინანსები და საბანკო საქმი	
<i>გივი ლემონჯავა</i> – ბანკის საკრედიტო რისკის მოდელირება	12
საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა	
<i>Olena Romanec</i> – Global Practice of Regulation and Maintenance of the Food Security and Possibilities of its Application in Ukraine	22
<i>Oksana Sychenko</i> – Formation of Social Structure of Society in the Countries with Developed Market Economy and in Ukraine	27
<i>Lyudmyla Velychko</i> – Directions of State Social Policy of Ukraine in Modern Conditions	32
მარკეტინგი	
<i>ნარგიზა ქარქაშაძე, ნათელა კაკაურიძე</i> – მომხმარებლის დამოკიდებულების შესწავლა ელექტრონულ ბაზარზე და განვითარების მარკეტინგული სტრატეგიები	37
<i>ეკატერინე მაღლაკელიძე, ელისაბედ მაღანია</i> – რა უნდა გაეაკეთოთ კომპანიის მუდმივად შემცირებადი მარკეტინგული ბიუჯეტის პირობებში?	44
ბანათლების ეკონომიკა	
<i>Nataliya Boretskaya</i> – Process of Theoretical Comprehension of Private Education as a New Social Phenomenon	50
<i>Olena Stsiban</i> – Role of the State in the Provision of Lifelong Education System with Predictable Labour Market Dynamics	57
მენეჯმენტი	
<i>ემზარ ჯულაყიძე</i> – პერსონალის მოტივაცია – კონკურენციაში წარმატების პირველადი წყარო	64
<i>ფატი შენგელია</i> – კომუნიკაციის როლი ორგანიზაციის მართვაში	69
ინვესტიციები	
<i>Andriy Klub</i> – The Development of Mechanisms of Coordinated Measures of National, Regional Regulation and Stimulation of Investments	74
ენერგომომარაგება	
<i>Tatyana Birkovich</i> – Fundamentals in Systematic Approach for the Development of an Effective State Regulation of Energy Market	80
მაბისტრანტებისა და ღოჭტორანტების სამეცნიერო ნაშრომები	
<i>Tornike Khoshtaria</i> – The Importance of Multinational Marketing Information Systems (MMIS) to Marketing Management	87
<i>მარიამ ჯიბუტი</i> – ფრენშიაინგის განვითარება: პრობლემები, პერსპექტივები	92
ინფორმაცია	95

C O N T E N T S

SIGNIFICANT MEASURE	5
FINANCES AND BANKING	
<i>Lemonjava Givi</i> – Modeling of Bank Credit Risk	12
ECONOMY OF FOREIGN COUNTRIES	
<i>Romanec Olena</i> – Global Practice of Regulation and Maintenance of the Food Security and Possibilities of its Application in Ukraine	22
<i>Sychenko Oksana</i> – Formation of Social Structure of Society in the Countries with Developed Market Economy and in Ukraine	27
<i>Velychko Lyudmyla</i> – Directions of State Social Policy of Ukraine in Modern Conditions	32
MARKETING	
<i>Karkashadze Nargiza, Kakauridze Natela</i> – Study Behaviour of the Consumers in the Electronic Market and Marketing Strategy of Development	37
<i>Maghlakelidze Ekaterine, Malania Elisabed</i> – What to do When the Marketing Budget of a Company Take a Dive	44
EDUCATION ECONOMY	
<i>Boretskaya Nataliya</i> – Process of Theoretical Comprehension of Private Education as a New Social Phenomenon	50
<i>Stsiban Olena</i> – Role of the State in the Provision of Lifelong Education System with Predictable Labour Market Dynamics	57
MANAGEMENT	
<i>Julakidze Emzar</i> – Personnel Motivation-Primary Source of Success in Competition	64
<i>Shengelia Fati</i> – The Role of Communication in Organization Management	69
INVESTMENTS	
<i>Klub Andriy</i> – The Development of Mechanisms of Coordinated Measures of National, Regional Regulation and Stimulation of Investments	74
ENERGY SUPPLY	
<i>Tatyana Birkovich</i> – Fundamentals in Systematic Approach for the Development of an Effective State Regulation of Energy Market	80
SCIENTIFIC WORKS OF UNDERGRADUATES AND DOCTORAL STUDENTS	
<i>Khoshtaria Tornike</i> – The Importance of Multinational Marketing Information Systems (MMIS) to Marketing Management	87
<i>Jibuti Mariam</i> – Development of Franchising: Problems, Perspectives	92
INFORMATION	95

მნიშვნელოვანი ღონისძიება

ა.წ. 22 ნოემბერს გაიმართა სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა ინსტიტუტის ეოფილი, აწ გარდაცვლილი თანამშრომლების, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის პროფესორ **თენგიზ ხოშტარიას**, განყოფილების გამგეების ემდ, პროფესორ **მიხეილ კახეთელიძის** და ემდ, პროფესორ **ვალერიან დათუკიშვილის**, მთავარი მეცნიერთანამშრომლის, ემდ, პროფესორ **იოველ ასათიანის** დაბადებიდან საიუბილეო თარიღებს. სიმპოზიუმის მონაწილეებს მიესალმა და მოხსენიებული თანამშრომლების სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაზე ისაუბრა ინსტიტუტის დირექტორმა, ემდ, პროფ. რამაზ აბესაძემ, მოგონებებით გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: **ლეო ჩიქავა და ვლადიმერ პაპავა**, აკადემიური დოქტორები: **ნანული არევაძე, ლინა დათუნაშვილი, რევაზ ჯავახიშვილი** და სხვები. გთავაზობთ მოგონებებს.

* * *



მაღალერზღირებული სწავლული ეკონომისტი და ღირსეული პიროვნება
(თენგიზ ხოშტარიას დაბადებიდან 85 წლისთავის გამო)

ძალზე ძნელია წარსულ დროში ილაპარაკო ისეთ ადამიანზე, როგორც გახლდათ ბატონი თენგიზ ხოშტარია. იგი იყო სიცოცხლით სავსე, თავის ქვეყანასა და ხალხზე გულმხურვალედ შეყვარებული, იშვიათი ადამიანური ხიბლის მქონე, ყველას მიმართ საოცრად გულისხმიერი და თავაზიანი პიროვნება. ბატონმა თენგიზ ხოშტარიამ განვლო ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად შინაარსიანი ცხოვრების გზა. იგი დაიბადა 1927 წელს თბილისში, გამორჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის სიმონ ხოშტარიას ოჯახში. თბილისის პირველი საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს მოსკოვის საინჟინრო-ეკონომიკურ ინსტიტუტში, ხოლო მისი დასრულების შემდეგ მუშაობს იქვე, ფოლადისა და შენადნობების ინსტიტუტში ინჟინრად.

1956 წლიდან იწყება მისი მოღვაწეობის სრულიად ახალი ეტაპი, როცა იგი ბრუნდება თბილისში და მუშაობას განაგრძობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში ჯერ მეცნიერთანამშრომლად, ხოლო 1959 წლიდან იგი უკვე ამავე ინსტიტუტის სწავლული მდივანია. 1966 წელს თ. ხოშტარია გადაჰყავთ ახლად დაარსებულ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ეკონომიკისა და სამართლის რედაქციის ხელმძღვანელად, შემდეგ მას აწინაურებენ ამავე ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად, ხოლო 1972 წლიდან – მთავარი რედაქტორის მოადგილედ.

მოდვეწერო წლებში ბატონი თენგიზი მუშაობას განაგრძობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის აპარატში სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა და უმაღლესი სასწავლებლების საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1976 წელს კი იგი ბრუნდება თავის მშობლიურ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც იგი სიცოცხლის ბოლო დღემდე მუშაობს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში და იმავედროულად ხელმძღვანელობს ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ეკონომიკურ პრობლემათა განყოფილებას.

ბატონი თენგიზი იყო ძალზე ნიჭიერი და შრომისუნარიანი მეცნიერ-მკვლევარი. იგი ავტორია არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთა შორის აღსანიშნავია მონოგრაფიული გამოკვლევა – „მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიის რეგიონში“, რაზეც მან დაიცვა თავისი საკვალიფიკაციო ნაშრომი.

ბატონი თენგიზ ხოშტარია, ნაყოფიერი სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის პარალელურად, ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. წლების განმავლობაში იგი იყო საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯული და პოლიტიკანათლების სახლის ეკონომიკური სექციის მეთოდსაბჭოს თავმჯდომარე. ყველგან, სადაც მას უმუშავია, დიდი ენთუზიაზმითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მინდობილი საქმის შესრულებას, პირად ცხოვრებაში იყო ძალზე მოზომილი, თავმდაბალი, უპრეტენზიო, ყურადღებიანი და გვერდში მდგომი ადამიანი, რის გამოც ყველასაგან იმსახურებდა უდიდეს პეტივისცემასა და სიყვარულს.

ბატონი თენგიზის ყველაზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობის წლები მაინც ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტთანაა დაკავშირებული. იგი აქ ჩამოყალიბდა როგორც მეცნიერ-მკვლევარი და სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციის შესანიშნავი სპეციალისტი. ინსტიტუტში სწავლული მდივნისა და სამეცნიერო დარგში დირექტორის მოადგილის თანამდებობებზე მუშაობის დროს მან გამოავლინა საკვლევი პრობლემების ხედვის, საკვლევი თემატიკის განსაზღვრის, მისი შესრულებისა და კვლევის შედეგების ანგარიშგების ორგანიზაციის დიდი ცოდნა და უნარი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს ინსტიტუტი იყო მრავალპროფილიანი-ეკონომიკურ მეცნიერებებთან ერთად, აქ აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა სამართლებრივი მეცნიერებების ხაზითაც. გარდა ამისა, ინსტიტუტს თავისი ქვედანაყოფები ჰქონდა აფხაზეთში, აჭარასა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში.

სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად, იგი აქტიურად იყო ჩართული სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. ფაქტობრივად, ბატონ თენგიზს ევალებოდა ასპირანტებსა და მაძიებლებთან მუშაობის, საკანდიდატო მინიმუმის საგნების მომზადება-ჩაბარების, სადისერტაციო ნაშრომების დაცვის საბჭოს მუშაობისა და მასთან დაკავშირებული მასალის მომზადებისა და უმაღლეს საატესტაციო კომისიაში წარსადგენი დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული მუშაობის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

ბატონმა თენგიზმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფაშიც. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და ყოველდღიური მზრუნველობით ჩატარდა ინსტიტუტის შენობის საინჟინრო ექსპერტიზა, მისი საძირკვლის გამაგრების, ჭერისა და სახურავის შეცვლის, შენობის კაპიტალური რემონტისა და ინვენტარით აღჭურვის, მის პირველ სართულზე სათანადო ტექნიკით აღჭურვილი კვების ბლოკის შექმნის, ინსტიტუტის სხდომათა დარბაზის აშენებისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები. ბატონ იოველ ასათიანთან ერთად, მან დიდი შრომა გასწია ინსტიტუტის მებაღეობის

ამხანაგობის შექმნასა და მუხათწყაროში საბაღე ნაკვეთების გამოყოფაში, მის დაგეგმარებასა და თანამშრომლებზე დამაგრებაში.

ყველა ამ სამუშაოთა შესრულება მართლაც რომ ტიტანურ ენერჯიასა და შრომას მოითხოვდა. ბატონი თენგიზი ამ უდიდეს სამუშაოს დიდი მონდომებით, პასუხისმგებლობითა და წარმატებით ასრულებდა. ალბათ, სწორედ ესეც იყო იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ მისმა გულმა ვეღარ გაუძლო ამდენ დატვირთვას და ნაადრევად შეწყდა მისი ძეგრა. ბატონი თენგიზი ძალიან ადრე წავიდა ამ ცხოვრებიდან, მაგრამ წავიდა ყველას წინაშე ვალმოსდილი და პირნათელი. ისეთი ადამიანები კი, როგორც ბატონი თენგიზ ხოშტარია იყო, არ კვდებიან, რამეთუ ისინი თავიანთი განვლილი ცხოვრებით უხვად იძლევიან ამქვეყნიური შინაარსიანი და უმწიკვლო ცხოვრების საუკეთესო მაგალითებს.

**აკადემიური დოქტორი
რევაზ ჯავახიშვილი**

* * *



ემდ. პროფესორ ვახტანგ კახეთელიძის მოგონება

მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს და დღაწლ-მოსილ პედაგოგს, ემდ, პროფესორ მიხეილ (ვახტანგ) კახეთელიძეს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. იგი იმ მეცნიერ-ეკონომისტთა კოჰორტას ამშვენებდა, რომლებიც თავდადებით ემსახურებოდნენ მეცნიერების განვითარებასა და კვალიფიციური კადრების აღზრდის ფრიად კეთილშობილურ საქმეს.

ბატონი ვახტანგი დაიბადა 1912 წელს საქართველოს უღამაზეს კუთხეში რაჭაში, ამბროლაურის რაიონის სოფ. სამთისში. მან 1928-29 წლებში წარმატებით დაამთავრა თბილისის #1 სამრეწველო ეკონომიკური ტექნიკუმი, შემდეგ 1935-36 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით, ხოლო 1960 წელს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ასპირანტურა პოლიტიკური ეკონომიის განხრით.

იგი გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკად. პ. გუგუშვილის მიერ შექმნილი მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული ეკონომიკური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. სწორედ ბატონი პაატას რეკომენდაციით დაიწყო მუშაობა ბატონმა ვახტანგმა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერთანამშრომლად 1950 წელს და შემდეგ აგრარულ პრობლემათა განყოფილების გამგედ და ამ ინსტიტუტში გაატარა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების 35 წელი.

ბატონმა ვახტანგმა 1950წ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თეორიული ეკონომიკის პრობლემაზე – „მარქსის მოძღვრება მიწის დიფერენციალური რენტის შესახებ“, ხოლო სადოქტორო დისერტაცია – 1964 წელს თემაზე „საქარ-

თველოს სსრ მეცხოველეობის განვითარების ეკონომიკური პრობლემები". ბატონ ვახტანგს 1967 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

ბატონი ვახტანგი ნაყოფიერ მეცნიერულ საქმიანობას ეწეოდა. იგი 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, აქედან 20 წიგნად არის წარმოდგენილი. მისი ნაშრომები ნათარგმნია რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ბატონი ვახტანგი იკვლევდა პოლიტიკური ეკონომიის თეორიულ პრობლემებს, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებს. მისი ნაშრომები ეძღვნებოდა ეკონომიკური სტატისტიკის, ბუღალტრული აღრიცხვის, ვაჭრობის ეკონომიკისა და სხვა საკითხებს, რომლებმაც სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ბატონი ვახტანგი წლების მანძილზე მუშაობდა თბილისის საქალაქო საბჭოს და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის აპარატში სხვადასხვა თანამდებობებზე, იყო უზრუნველ „საქართველოს ეკონომისტის“ განყოფილების გამგე, ასევე იყო სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოს და ინსტიტუტში არსებული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების სპეციალიზირებული საბჭოს წევრი.

მან, როგორც ერუდირებულმა და ნიჭიერმა პიროვნებამ, შრომითი საქმიანობა დაიწყო პოლიტიკური ეკონომიის თეორიული კურსის ლექტორად. ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ კი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მას გარკვეული წვლილი მიუძღვის ქვეყანაში მეცნიერ-ეკონომისტთა კადრების მომზადებაში. მისი ხელმძღვანელობით დისერტაცია დაიცვა 25-ზე მეტმა ასპირანტმა და მაძიებელმა; იმ პერიოდში ინსტიტუტში ასეთი ტრადიცია იყო დამკვიდრებული: ინსტიტუტის დირექტორი აკად. პაატა გუგუშვილი მეცნიერხელმძღვანელთან შეთანხმებით ინსტიტუტში სამუშაოდ ტოვებდა ასპირანტურის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს. ბატონი ვახტანგის განყოფილებაში წლების განმავლობაში მუშაობდნენ: ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატები: ლ. დათუნაშვილი, თ. ქავთარაძე, ლ. გვენეტაძე, ქ. წიკლური, ო. წივილაშვილი, ზ. თოღორდავა, ნ. ცომაია და სხვები.

ბატონი ვახტანგი მონაწილეობას იღებდა ქ. ლენინგრადსა და ბუდაპეშტში გამართულ ეკონომისტთა საერთაშორისო კონგრესებში.

იგი განსაკუთრებული თვისებების მატარებელი პიროვნება იყო, რაც მას საშუალებას აძლევდა ყოფილიყო კარგი მეცნიერი, პედაგოგი, მეცნიერების ორგანიზატორი, კარგი შვილი, ყურადღებიანი და მოსიყვარულე მეუღლე და მამა, მეგობარი და მოქალაქე. ბატონი ვახტანგი იყო ნიჭიერი და პრინციპული, ახლობლებისა და მეგობრების მიმართ ერთგული ადამიანი.

ბატონ ვახტანგს დარჩა კარგი ოჯახი.

ახლობლები, აღზრდილები, კოლეგები ღირსეულ პატივს მიაგებენ გამოჩენილი ქართველი სწავლული ეკონომისტის, პროფ. ვახტანგ კახეთელიძის ხსოვნას.

*აკადემიური დოქტორი
ლინა დათუნაშვილი*

ბატონ ვახტანგ კახეთელიძის ბახსენება

ბატონი ვახტანგი დიდი კაცი იყო... იგი ამაყობდა იმით, რომ იყო აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მოწაფე და მისი სკოლის წარმომადგენელი. მას უყვარდა ბატონი პაატა და ეამაყებოდა მასთან მეგობრობა. იგი ბატონ პაატას გვერდიდან მაშინაც არ მოსცილებია, როდესაც ხელისუფლება მას არ წყალობდა.

ბატონი ვახტანგი ერუდირებული და განათლებული პიროვნება იყო. მან კარგად იცოდა გერმანული ენა, იცნობდა მსოფლიო ლიტერატურასა და პოეზიას; განსაკუთრებით უყვარდა ონიაშვილისეული გოეთეს ფაუსტის თარგმანი. ბატონი ვახტანგი იხსენებდა ხოლმე წვეულებებს, სადაც ბატონი პაატა გუგუშვილი, ვასო ჩანტლაძე და სხვანი ესწრებოდნენ. ბატონ პაატას თურმე წესად ჰქონია, რომ სუფრის წევრებს სუფრასთან ლექსი აუცილებლად უნდა ეთქვათ. „ერთ-ერთ სუფრაზე ჩემი რიგი რომ მოვიდაო, – იხსენებდა ბატონი ვახტანგი, – გერმანულ ენაზე გოეთეს ფაუსტიდან პროლოგი და ონიაშვილისეულის თარგმანიდან იგივე პროლოგი ქართულ ენაზე წავიკითხეო.“

ბატონი ვახტანგი ყოველთვის ყურადღებით აღევნებდა თვალყურს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას. იგი ესწრებოდა სპექტაკლებს (ხანდახან მეც წამიყვანდა) ოპერაში, რუსთაველის თეატრში, მუსკომედიაში, იოსებ ნონეშვილის მოწვევით მწერალთა კავშირში გამართულ ღონისძიებებს და პოეზიის საღამოებს.


ბატონი ვახტანგი ღმერთივით კაცი იყო (როგორც თვითონ იტყვოდა ხოლმე სხვასთან მიმართებით). გარეგნულ წარმოსადგობასთან ერთად კარგ მოსაუბრედ ითვლებოდა, ასევე კარგად მღეროდა; განსაკუთრებით უყვარდა „ღარაია“ და „ქუთაისი გადამწვარა“. ბატონ ვახტანგს ჰქონდა იუმორის დიდი გრძობა; სუფრის წევრებისათვის მისი იქ ყოფნა ყოველთვის დიდი სიამოვნებით აღიქმებოდა. ბატონ ვახტანგს სახლში ყოველთვის ჰქონდა სასმელი, არაყსა და კონიაკს დასაღვევად არ ეკარებოდა.

ბატონი ვახტანგი მრავალმხრივ განსწავლული დიდი მეცნიერ-ეკონომისტი იყო. მისი კვლევის სფეროს მიეკუთვნებოდა ბუღალტერია, სტატისტიკა, აგრარული ეკონომიკა, ასევე ეკონომიკური თეორია.

მონატრებით ვიგონებ ბატონ ვახტანგს და ვამაყობ, რომ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები მასთან შეგირდობაში გავატარე. გული მტკივა, ბატონი ვახტანგი ჩვენ გვერდით აღარ არის, მაგრამ ჩემგან მისდამი კეთილი მოგონება და ტკივილიანი მონატრება ყოველთვის გულწრფელი იქნება.

*თენგიზ ქავთარაძე
ლაბორატორიის გამგე*

* * *



ბატონმა იოველმა გრძელი და შინაარსიანი გზა განვლო. მან მოღვაწეობა დაიწყო როგორც მწერალმა და პოეტმა. იგი, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა, რედაქტორობდა სხვადასხვა პერიოდულ ჟურნალს და რესპუბლიკურ პრესაში აქვეყნებდა სტატიებს, ლექსებსა და მოთხრობებს. ამ სფეროში წარმატებული საქმიანობის მიუხედავად, ბატონმა იოველმა საბოლოოდ ეკონომიკურ მეცნიერებაში მოღვაწეობის რთული გზა აირჩია. მის კალამს ეკუთვნის არაერთი სამეცნიერო გამოკვლევა, განსაკუთრებით ეკონომიკური ისტორიისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის სფეროში. სა-

ქართველოს საზოგადოებამ ინტერესით მიიღო მისი მონოგრაფიები: “თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსება” და “ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკი”.

მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად თავი გამოიჩინა როგორც პედაგოგმა და ორგანიზატორმა. იგი წარმატებით კითხულობდა ლექციებს ქვეყნის არაერთ უმაღლეს სასწავლებელში, იყო საქართველოს ერთ-ერთი რაიონის განათლების განყოფილების გამგე და მსხვილი ტექნიკუმის დირექტორი.

განსაკუთრებით ნაყოფიერია მისი მოღვაწეობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, რომელსაც თავისი დირექტორი კვალი დაატო, როგორც მეცნიერული, ისე საზოგადოებრივი მოღვაწეობით. მან გამოიჩინა უმაგალითო შეუპოვრობა და 88 წლის ასაკში დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ბატონი იოველი ყოველივე ამასთან ერთად დაჯილდოვებული იყო მრავალი ადამიანური თვისებით – მისი უშუალობა, თავმდაბლობა, სიკეთის ქმნის მუდმივი სურვილი არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენოდა, ვისაც კი მასთან ურთიერთობა ჰქონია. იგი დიდ მზრუნველობას იჩენდა ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისა და თანამშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, რისთვისაც უშურველად იყენებდა თავის დიდ უნარს ადამიანებთან ურთიერთობისა.

ინსტიტუტის კოლექტივი მაღლიერების გრძნობით იხსენებს ამ შესანიშნავი მეცნიერის, პედაგოგისა და პიროვნების დაბადებიდან 105-ე წლისთავს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, ხოლო მის ოჯახს ბედნიერებასა და წარმატებას უსურვებს.

პროფესორი რამაზ აბესაძე

* * *



ვალერიან პიროვნება

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვალერიან დათუკიშვილს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. მას დედა სრულიად ახალგაზრდა გარდაეცვალა, დაობლებული ბავშვის აღზრდა მამიდან იტვირთა და სოფლიდან ქ. თბილისში ჩამოიყვანა. სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა, როცა დიდი სამამულო ომიც დაიწყო. ბატონი ვალერიანი ომში პირველსავე წელს ჩაება, როგორც ტანკისტი, მაგრამ მძიმედ დაიჭრა, არმიიდან დემობილიზებული იქნა და ჩაირიცხა ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. რომელიც 1946 წელს წარმატებით დაასრულა. შემდეგ მოსკოვში პროფესორ ცაგოლოვის ხელმძღვანელობით 1950 წელს დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მომდევნო წლებში ბატონმა ვალერიანმა მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება სტუდენტთა ახალგაზრდობის აღზრდას დაუკავშირა, ის წარმატებით კითხულობდა პოლიტიკური ეკონომიის სალექციო კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ზოგვეტერინალურ ინსტიტუტში და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც კათედრის გამგედაც მუშაობდა. 1968 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც საქართველოში მანქანათმშენებლობის მრეწველობის განვითარების საკითხებს ეძღვნებოდა.

ბატონი ვალერიანი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში 1971 წელს მოვიდა და თითქმის სიკვდილამდე მუშაობდა უფროს და წამყვან მეცნიერთანამშრომლად, ლაბორატორიისა და განყოფილების გამგედ, წერდა და აქვეყნებდა სამეცნიერო ნაშრომებს პოლიტიკური ეკონომიის, მრეწველობის ეკონომიკის პრობლემებზე.

ყველას, ვინც ბატონ ვალერიანს იცნობდა, შეუძლია თქვას, რომ ის იყო დინჯი, სამართლიანი და გაწონასწორებული პიროვნება, რომელიც ყოველთვის მზად იყო უშურველად დახმარებოდა ყველას. იცხოვრა ჩუმად, უპრეტენზიოდ, შინაგანი ღირსებითა და რწმენით, ჯანსაღი ცხოვრებით. ის უმწიკვლოდ ემსახურა ქვეყანას და ორი შვილისა და ორი შვილიშვილის გარდა არაერთი სტუდენტი და დისერტანტი აღზარდა, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც.

პროფ. ვალერიან დათუკიშვილი 2011 წლის 21 მაისს გარდაიცვალა. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. ამ ნათელი პიროვნების ხსოვნა მარად დარჩება იმათ გულებში, ვინც მას იცნობდა.

*აკადემიური დოქტორი
ნანული არევაძე*

ზინანსები და საბანკო საქმე

გივი ლემონჯავა

საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ბანკის საკრედიტო რისკის მოდელირება

შესავალი

ბოლო დროს, საკრედიტო რისკის მიმართ ღია პოზიციის სიდიდე იქცა ბანკების მთავარ პრობლემად მსოფლიოს მაშტაბით. ბანკების უმრავლესობისთვის სესხები არის საკრედიტო რისკი მთავარი და ყველაზე ცხადი წყარო. საკრედიტო რისკი მარტივად შეიძლება განვმარტოთ, როგორც კონტრაქტის მეორე მხარის უუნარობა, შეთანხმებული პირობების შესაბამისად შესრულოს საკუთარი ვალდებულებები. ბანკის საკრედიტო რისკის მენეჯმენტის მიზანი არის ბანკის რისკით შეწონილი შემოსავლების მაქსიმიზება, რაც მიიღწევა საკრედიტო რისკის მიმართ ღია პოზიციის მოქცევით საკონტროლო პარამეტრების დასაშვები დონის ფარგლებში. ბანკს სესხებთან მიმართებით აქვს ორი დონის რისკი: საკრედიტო პორტფელისა და ინდივიდუალური სესხების. ბანკის საკრედიტო რისკის ეფექტური მენეჯმენტი მოიცავს ორივე დონეს და უზრუნველყოფს ბანკის მოკლე და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. საბანკო კრიზისის ანალიზი გვიჩვენებს, რომ, უმრავლეს შემთხვევაში, ბანკების გაკოტრების მთავარი მიზეზი იყო დიდი საკრედიტო დანაკარგები.

საკრედიტო რისკის მნიშვნელობის შესაბამისად, ბანკს უნდა შეეძლოს საკრედიტო რისკის იდენტიფიკაცია, გაზომვა, მონიტორინგი და კონტროლი. გარდა ამისა, ბანკმა უნდა შეაფასოს, რამდენად ადეკვატურია კაპიტალი აღებული საკრედიტო რისკის. ბაზელის კომიტეტმა შეიმუშავა ძირითადი პრინციპები, რომელთა ბაზაზე რეკომენდირებულია აიგოს საკრედიტო რისკის მარტვის საიმედო სისტემა¹. ეს პრინციპები ეხება შემდეგ სფეროებს: (1) საკრედიტო რისკის სათანადო გარემოს შექმნა; (2) ოპერირება კრედიტის გაცემის საიმედო პროცესის გამოყენებით; (3) კრედიტების სათანადო ადმინისტრირება, შეფასება და მონიტორინგი; (4) საკრედიტო რისკზე ადეკვატური კონტროლი.

საკრედიტო რისკის მოდელირების ამოცანად ჩვენ განვიხილავთ საკრედიტო პროდუქტების მიხედვით საკრედიტო რისკის შეფასებას და აგრეგირებას. მოდელის შედეგები ასევე შეიძლება გამოვიყენოთ რისკის მენეჯმენტისა და საქმიანობის შედეგების შეფასების საქმეში, კლიენტის მომგებიანობის ანალიზში, ფასდადებაში რისკის ფაქტორის გათვალისწინებით, შედეგებზე მიბმული კომპენსაციების განსაზღვრაში. ბოლო დროს დაიწყო საკრედიტო რისკის მოდელის გამოყენება საკრედიტო პორტფელის მენეჯმენტსა და გადაწყვეტილებებში კაპიტალის სტრუქტურასთან დაკავშირებით. თუ მოდელი იქნება კონცეპტუალურად გამართული, საიმედო, ემპირიულად შემოწმებული და იძლევა ბანკების კაპიტალის მოთხოვნის ადეკვატურ შეფასებებს, მაშინ რეგულირებასაც შეეძლება დაეყრდნოს მას და კაპიტალის მოთხოვნა განსაზღვროს მის საფუძველზე.

პრაქტიკაში ფართოდ არის დანერგილი საბაზრო რისკის მოდელი, რომლის საფუძველზე განისაზღვრება რისკის ექვივალენტური მოთხოვნა ცაპიტალზე. ორი მიზეზის გამო საკრედიტო რისკის მოდელი ვერ იქნება საბაზრო


¹ Basel Committee on Banking Supervision, (2000), Principles for the Management of Credit Risk, from <http://www.bis.org>

რისკის მოდელის უბრალო გაფართოება. პირველი მიზეზი არის მონაცემების არასაკმარისობა. საკრედიტო რისკის მატარებელი ინსტრუმენტების უმრავლესობა არ არის საბაზრო, ამიტომ მოდელის საფუძველზე ასეთი ინსტრუმენტების ფასის პროგნოზი არ იქნება სრულად ისტორიული ფასების სტატისტიკური შეფასების შედეგი. კრედიტების გაფუჭების შემთხვევების განაწილება არ არის სიმეტრიული. ეს მართლაც არის შემთხვევითი სიდიდე, მაგრამ მისი განაწილება წანაცვლებულია პოზიტიურად.

მეორე მიზეზია მოდელის ვალიდაცია. საბაზრო რისკის მოდელი მოიცავს სულ რამდენიმე დღეს, ხოლო საკრედიტო რისკის მოდელი – ერთ წელს ან მეტს. ეს მომენტი ართულებს მოდელის სიზუსტის შეფასებას. თუ კიდევ გავითვალისწინებთ ნდობის ინტერვალის დონეს, აღნიშნული სირთულე კიდევ უფრო იზრდება. რაოდენობრივ ვალიდაციას დასჭირდება მრავალი წელი, რაც არაპრაქტიკულია, რადგან მოიცავს საკრედიტო ციკლების სიმრავლეს. თუმცა, ციკლურობის კომპონენტის ამოღება დროითი მწკრივიდან შესაძლებელია² და ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით.

საკრედიტო დანაკარგი არის შემთხვევითი სიდიდე, რომელსაც აქვს განაწილების ფუნქცია. საკრედიტო რისკის მოდელის მთავარი შედეგი უნდა იყოს ამ ფუნქციის აგება. საკრედიტო დანაკარგს ყოფენ ორ კომპონენტად. ერთი არის მოსალოდნელი დანაკარგი დროის შერჩეულ პერიოდში, ანუ – საშუალო დანაკარგი, რომელიც აფასებს კონკრეტული პერიოდის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგის სიდიდეს თანხაში. მეორე კომპონენტი არის მოულოდნელი საკრედიტო დანაკარგი, რომელი თანხითაც მთლიანი ფაქტიური საკრედიტო დანაკარგი აღემატება მოსალოდნელს.

დანაკარგის პირველ კომპონენტს ფარავს ბანკის საკრედიტო რეზერვები, რომელიც იქმნება ბანკის სარეზერვო პოლიტიკის შესაბამისად და დროის კონკრეტულ მომენტში ასახავს საკრედიტო პორტფელის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მდგომარეობას. ამ ნაწილს არ სჭირდება ეკონომიკური კაპიტალის მიკუთვნება. ეკონომიკური კაპიტალი სჭირდება საკრედიტო დანაკარგის მეორე კომპონენტს – მოულოდნელ საკრედიტო დანაკარგს, ისე, რომ გაკონტრების მიზნობრივი განაკვეთი იყოს მიღწეული. გრაფიკულად ეს შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი სახით.



² Hanke, J. E., & Wichern, D. W. (2009). Business forecasting. Pearson Prentice Hall.

საბაზრო რისკისგან განსხვავებით, ეს არ არის ნორმალური განაწილება. ის წანაცვლებულია მარჯვნივ და არის გადახდისუუნარობის, ან საკრედიტო რეიტინგის შემცირების შედეგი. ამიტომ, აუცილებელია სესხის დანაკარგის განაწილების მოდელირება. ალბათობა იმისა, რომ VaR -მა ნდობის მოცემულ დონეზე გადააჭარბებს მოულოდნელ დანაკარგს, ტოლია ნდობის დონისა.

ეკონომიკური კაპიტალის გარდა, ბანკს აქვს საზედამხებველო კაპიტალის მოთხოვნა³. ბანკების უმრავლესობა ამ ორ კაპიტალს განიხილავს როგორც ურთიერთდამოუკიდებელს. თუ საზედამხებველო კაპიტალი ნაკლებია ეკონომიკურ კაპიტალზე, პრობლემა არ არის, ფასდადებაში სრულად იქნება ასახული გამოყენებული კაპიტალი. მაგრამ, პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც საზედამხებველო კაპიტალი აღემატება ეკონომიკურ კაპიტალს. ამ შემთხვევაში, მეტობა არ განაწილდება საბანკო პროდუქტების მიხედვით და ფასში არ იქნება ჩართული რეგულირების ხარჯის საკომპენსაციო კომპონენტი. ბანკის სიდიდიდან და მისი ბიზნესის სტრუქტურებიდან გამომდინარე, ეს სხვაობა შეიძლება იმდენად დიდი იყოს, რომ მისი დაუკომპენსირებლობით მნიშვნელოვნად შემცირდეს ბანკის წმინდა ღირებულება.


სათანადო პრინციპებისა და მეთოდის საფუძველზე შექმნილი და დანერგილი საკრედიტო რისკის მოდელი ბანკს აძლევს ხელშესახებ უპირატესობას. ამ მოდელით ბანკს შეუძლია დროულად განახორციელოს რისკის იდენტიფიკაცია, გაზომვა და მართვა. მოდელში ინდივიდუალური სესხების ერთობლივად ასახვა კომპოზიციის ეფექტის გათვალისწინების საშუალებას იძლევა და უკეთესად ასახავს კონცენტრაციის რისკს. როგორც ცნობილია, იცვლება ეკონომიკური გარემო, საბაზრო ფაქტორები, ბანკის ბიზნესის სტრუქტურა, რაც აისახება მოდელში და მათი შედეგები იქნება დროულად შეფასებული. და ბოლოს, მოდელის მნიშვნელოვანი შედეგი შეიძლება იყოს რეგულირების კაპიტალის მოთხოვნის შემცირება, თუ საბანკო რეგულირების ორგანო დარწმუნდება საკრედიტო რისკის მოდელის და მთლიანად ბანკის რისკ მენეჯმენტის სისტემის საიმედოობაში.

ბანკის მენეჯმენტის პასუხისმგებლობაში შედის საკრედიტო რისკის იდენტიფიკაცია, შეფასება, მართვა და მონიტორინგი, და ასევე შიდა კონტროლის მონიტორინგის სისტემის შექმნა. ამ ამოცანების შესასრულებლად ბანკს უნდა ჰქონდეს სწორად და სრულად იდენტიფიცირებული საკრედიტო რისკები და ასევე განსაზღვრული რისკის დასაშვები დონე. თუ რისკის გაზომვას ორ განზომილებაში – შედეგსა და ალბათობაში, მოვახდენთ, მაშინ მენეჯმენტის აღნიშნული ამოცანა გრაფიკულად ნახ. 2 სახით შეიძლება წარმოვადგინოთ.

რისკის დასაშვები დონე მტკიცდება უმაღლესი მენეჯმენტის ან სამეთვალყურეო საბჭო მიერ. მის დადგენასა და შესრულების კონტროლში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია საკრედიტო რისკების მოდელს და საკრედიტო რეიტინგების შიდა სისტემებს. მოდელი აკავშირებს რეგულირების კაპიტალის მოთხოვნას, რისკის მისაღები დონის შესაბამის კაპიტალს და ნარჩენი რისკის შესაბამის ეკონომიკურ კაპიტალს. სათანადო მმართველობისა და კონტროლის შემთხვევაში, ბანკის მენეჯმენტი ვერ გასცდება საკრედიტო რისკის მისაღებ დონეს და, ამასთან, მენეჯმენტს ეძლევა საშუალება, მნიშვნელოვნად შეამციროს რეგულირების მოთხოვნა კაპიტალზე, რაც დადებითად აისახება ბანკის მომგებიანობაზე. მხოლოდ, ამისთვის საჭირო იქნება ბანკს ჰქონდეს საკრედიტო რისკის მართვის ადეკვატური სისტემა. ამ სისტემის ორი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტია საკრედიტო რისკის მოდელი და რეიტინგების შიდა

³ Lemonjara, G. (2009). Banking loans: tendency and regulation. Economist, 4, 33-41

სისტემა. მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს ამ ორი ინსტრუმენტის ინტეგრირებას საკრედიტო რისკის მართვის ერთიან მოდელში.



საკრედიტო რისკის მოდელი მოიცავს რამდენიმე ელემენტს. ესენია: 1) დროის ინტერვალი; 2) საკრედიტო რისკის საზომი – დიფოლტის თუ საბაზრო მეთოდი; 3) პირობით/უპირობო მოდელები; 4) კრედიტების აგრეგირების მეთოდი; 5) დიფოლტის მოვლენებს შორის კორელაცია.

მოდელის არჩევის რაიმე საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტი არ არსებობს. მოდელის არჩევის გადაწყვეტილებაში გასათვალისწინებელია ბანკის საკრედიტო პორტფელის მახასიათებლები და მისი საკრედიტო კულტურა. ზოგადად კი საჭიროა გაავანალიზოთ რამდენიმე კონცეპტუალური საკითხი, რომლებიც არსებითია ნებისმიერი მოდელის თუ მეთოდის არჩევისას.

საკრედიტო რისკის მოდელის ერთი ძირითადი შედეგია საკრედიტო დანაკარგის განაწილების ფუნქცია. ამ ფუნქციის ფარგლებში განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, მოულოდნელი საკრედიტო დანაკარგი და მიზნობრივი ნდობის ინტერვალის შესაბამისი დანაკარგი (იხ. ნახ. 1). მართალია, ბოლო სექცია ხასიათდება დაბალი სისწირით, მაგრამ მათი მოხდენის შესაძლებლობა რეალურია და შესაბამისი ზარალი გაკოტრების ტოლფასია. ამდენად, ნდობის ინტერვალის დაფიქროვება გამოიწვევს VaR-ის მნიშვნელოვან ზრდას, და ეს კი – ბიზნესების შეზღუდვას. VaR-ი წარმოადგენს კაპიტალს, რომელიც მოსალოდნელი დანაკარგის ზევით ფარავს მოულოდნელ დანაკარგებს.

საკრედიტო რისკს აქვს რამდენიმე აღმძრავი, რომლებიც საკრედიტო რისკის მოდელის ცვლადებია. ესენია: 1) საკრედიტო რისკის მიმართ ღია პოზიცია; 2) მიგრაციის რისკი; 3) დიფილტის რისკი; 4) საკრედიტო დანაკარგის კომპენსირების რისკი.

საკრედიტო რისკის მიმართ ღია პოზიცია ტოლია თანხის, რომელიც შეიძლება ემართოს მეორე მხარეს. ეს შეიძლება გაიზომოს ბალანსური ღირებუ-

ლებით, რომელიც არის კლიენტის ბალანსური დავალიანება, ან საბაზრო ღირებულებით, რომელიც ითვალისწინებს მიგრაციის რისკს. საკრედიტო რისკის მოდელი, რომელიც ითვალისწინებს მიგრაციის რისკს, უფრო სრულად და ზუსტად აფასებს საკრედიტო დანაკარგს. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ რთულდება საკრედიტო რისკის კომპონენტის ცხადად გამოყოფა.

განმარტების თანახმად, მხოლოდ მომავლის საკრედიტო რისკის მიმართ ღია პოზიცია არის რისკის ქვეშ. ამ კონტექსტში, მომავალი საკრედიტო რისკის ღია პოზიცია არ არის წინასწარ მოცემული სიდიდე, ის შემთხვევითი ცვლადია, რომლის წყარო არის გატანები გამოყოფილი საკრედიტო ხაზებიდან.

დიფოლტის რისკის შეფასებაში მნიშვნელოვანია დიფოლტის განმარტება. ეს გავლენას ახდენს დიფოლტის ალბათობასა და მის სიხშირეზე. გადახდის დიფოლტად მიზანშეწონილია ჩაითვალოს გადახდის ვადის გადაცილება 3 თვით. გაკოტრება და ბიზნესის რესტრუქტურირება უნდა ჩაითვალოს დიფოლტის შემთხვევად. ხოლო რაც შეეხება ფონდებს, მის დიფოლტად შეიძლება ჩაითვალოს წინასწარ დათქმული პირობების (ცოვენანტ) შეუსრულებლობა.

დიფოლტთან დაკავშირებული ზარალი ტოლია მატერიალიზებული დანაკარგის შემცირებული კომპენსაციით. მიგრაციის ალბათობა ითვლება ისტორიული მონაცემების საშუალებით. დიფოლტისაგან განსხვავებულ ნებისმიერ სხვა კლასის სტატუსში მიგრაცია არ იწვევს დანაკარგს ბალანსურ ღირებულებაში, თუნდაც დიფოლტის ალბათობა შეიცვალოს. ისტორიული მონაცემებით შეუძლებელია მოსალოდნელი დანაკარგის განსაზღვრა, ამიტომ ხშირად იყენებენ რეიტინგის სააგენტოების მონაცემებს. სააგენტოების რეიტინგი არ ზომავს ვალდებულების გამომშვების დიფოლტის ალბათობას, ის ზომავს გამოშვებული ინსტრუმენტის საკრედიტო ხარისხს. ამ პრობლემის დასაძლევად, ბანკები ხშირად იყენებენ შიდა რეიტინგებს (IBR). ამას ითვალისწინებს ბაზელის კომიტეტის ახალი შეთანხმება, რომელიც ცნობილია ბაზელ II –ის სახელწოდებით⁴. საკრედიტო რისკის მოდელის ხარისხი და მნიშვნელობა იზრდება, თუ ის ეყრდნობა ბანკის შიდა რეიტინგის გამართულ სისტემას (ბანკის შიდა რეიტინგის საკითხი დეტალურად იქნება განხილული ქვემოთ).

საკრედიტო რისკის მოდელმა უნდა მოგვცეს საკრედიტო დანაკარგის განაწილების ფუნქცია (PDF). ბანკის საკრედიტო დანაკარგის მოდელი უნდა იძლეოდეს PDF-ის საიმედო შეფასებას. ალბათობა იმისა, რომ საკრედიტო დანაკარგი მეტი იქნება Y-ზე, ტოლია ფართობის, რომელიც მოთავსებულია PDF-ის ქვეშ, Y –ის მარჯვნივ. ამ ფართის სიდიდით ხასიათდება საკრედიტო პორტფელის რისკიანობის ხარისხი: თუ ის დიდია, საკრედიტო პორტფელი მაღალრისკიანად უნდა ჩაითვალოს; თუ მცირე – დაბალრისკიანად. ბანკი საკრედიტო რისკად განიხილავს საკრედიტო დანაკარგის მოულოდნელ ნაწილს.

როგორც ვთქვით, მოცემული განაწილება არ იქნება ნორმალური, ამიტომ საჭირო იქნება შესატყვისი განაწილების ფუნქციის მოძებნა. PDF-ის კარგ აპროქსიმაციად მიგვაჩნია ლოგონორმალური განაწილება⁵ $X - \text{Log}(x, \mu, \sigma)$, რომლის სიმკვრივეა

⁴ Basel Committee on Banking Supervision, , from <http://www.bis.org>

⁵ Lazrieva N., Mania M., Mari G., Mosidze A., et al. (2000). Theory of Probability and Mathematical Statistics for Economists. Tbilisi: Institute of Mathematics.

$$f(x) = \frac{1}{x\sigma} \varphi(\ln x - \mu) / \sigma, x \geq 0 \quad (1)$$

და პარამეტრები:

$$\mu \in (-\infty; +\infty), \sigma > 0.$$

განაწილების მოცემული ფუნქციის ასაგებად საჭირო იქნება შერჩევის ბაზაზე გაკეთდეს მათი შეფასება. განაწილების ფუნქციის სიზუსტე დამოკიდებული იქნება შერჩევების რეპრეზენტაბელურობასა და სიდიდეზე, რომელიც არის ორი პარამეტრის ფუნქცია⁶:

$$n = \left(\frac{z \cdot s}{E} \right)^2$$

სადაც:

E – არის დასაშვები შეცდომა.

z – არის შერჩეული ნდობის ინტერვალის შესაბამისი z შეფასება.

s – არის პილოტური შერჩევის დისპერსია.

ზემოთ აღნიშნულ მოდელის შექმნის რამდენიმე სირთულის შესახებ. ერთი მათგანი ეხებოდა მონაცემების დეფიციტს. მცირე ზომის ბანკების დაკვირვებების სიმრავლის შეზღუდულობა არის საერთო პრობლემა. საქართველოში ყველაზე დიდ ბანკებშიც კი საშუალო და მსხვილი ბიზნეს სესხებისა და იპოთეკური სესხების რაოდენობა სულ რამდენიმე ასეულია. შედარებით დიდი სიმრავლეა სამომხმარებლო სესხებში. იმ ზომის შერჩევის გაკეთება, რომელიც უზრუნველყოფდა განაწილების ფუნქციის პარამეტრების საიმედო შეფასებას, პირველ ორ შემთხვევაში თითქმის შეუძლებელია.

მეორე პრობლემა მომდინარეობს მენეჯერული ინფორმაციული სისტემებისაგან, რომლებსაც ბანკები იყენებენ. სხვა საჭირო მონაცემებთან ერთად, იქ არ ხდება სესხების დიფოლტის და დანაკარგების აღრიცხვა. ეს საკრედიტო მოდელის დანერგვის საწყისი ეტაპის დამახასიათებელი პრობლემაა, რომლის გადაწყვეტა ამ დანერგვის გადავადებაშია, ან ანალოგიების და ექსპერტული შეფასებების გამოყენებაში.

განაწილების (1) ფუნქციის საშუალებით დაითვლება მოსალოდნელი და მოულოდნელი საკრედიტო დანაკარგები. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი ტოლია

$$EL = \exp(\mu + \sigma^2 / 2) \approx \sum EDF_i \cdot EAD_i \cdot LGD_i$$

სადაც: EDF არის კრედიტის დიფოლტის მოსალოდნელი ალბათობა; EAD – დიფოლტისას მთლიანი სასესხო ბალანსი; LGD – დანაკარგის განაკვეთი მოცემული დიფოლტის შემთხვევაში.

დანაკარგის ეს ნაწილი იფარება შექმნილი სესხების რეზერვით, რომელიც არ ითვალისწინებს მოსალოდნელი დიფოლტის დადგომას. ეს კომპონენ-

⁶ Robert, D. Mason, & Douglas, A. Lind (1996). Statistical Techniques in Business & Economics. Irwin/McGraw-Hill.

ტი არ მონაწილეობს ეკონომიკური კაპიტალის განაწილების პროცესში. ეკონომიკური კაპიტალის განაწილების პროცესში მონაწილეობს მოულოდნელი დანაკარგი. საკრედიტო დანაკარგის განაწილების ფუნქცია (1) შეიცავს ორ პარამეტრს, რომელთაგან ერთი აფასებს საკრედიტო დანაკარგის საშუალო კომპონენტს (μ), ხოლო მეორე – დანაკარგის მოულოდნელ ნაწილის დისპერსიას (σ). გასანაწილებელი კაპიტალის სიდიდეს გასაზღვრავს საკრედიტო დანაკარგის სტანდარტული გადახრის რაღაც ჯერადი სიდიდე.

$$UL = \gamma \cdot \sum_i \{ \exp(2\mu_i + 2\sigma_i^2) - \exp(2\mu_i + \sigma_i^2) \} \approx \gamma \cdot \sum_i EAD_i \sqrt{EDF_i(1-EDF)LGD_i^2 + EDF_iVOL_i^2} \quad (2)^7$$

სადაც VOL არის LDG-ს სტანდარტული გადახრა, ხოლო γ - სტანდარტული გადახრის ჯერადობის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება ნდობის ინტერვალის შერჩეულ დონეზე.

ფორმულა (2) არ ითვალისწინებს კორელაციას. თუ ერთი საკრედიტო ინსტრუმენტის კორელაცია დანარჩენ საკრედიტო ინსტრუმენტებთან მნიშვნელოვანია, მაშინ აუცილებელი იქნება ინდივიდუალური საკრედიტო დანაკარგის რისკების აგრეგირება შესაბამისი კორელაციის (ρ_i) კოეფიციენტებით. ამის გათვალისწინებით, (2) ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$UL \approx \gamma \cdot \sum_i \rho_i \cdot EAD_i \sqrt{EDF_i(1-EDF)LGD_i^2 + EDF_iVOL_i^2}$$

წარმოდგენილი მოდელი ეყრდნობა შემდეგ დაშვებებს: 1) საკრედიტო ზარალი დგება მხოლოდ კრედიტის დიფოლტის შემთხვევაში; 2) დროის ინტერვალი ერთნაირია ყველა საკრედიტო ინსტრუმენტისთვის, 3) ყოველი საკრედიტო ინსტრუმენტის ღია პოზიციის რისკი ცნობილია, 4) კლიენტის დიფოლტი და დანაკარგი მოცემულ დიფოლტზე (LGD) დამოუკიდებელი ცვლადებია, 5) ცვლადი დამოუკიდებელია კლიენტების მიხედვით.

საკრედიტო რისკის რეიტინგის შიდა სისტემა

რეიტინგის სისტემა ზომავს საკრედიტო რისკს, აკეთებს ინდივიდუალური კრედიტებისა და კრედიტების ჯგუფების დიფერენცირებას ადებული რისკის დონის მიხედვით. შიდა რეიტინგის სისტემა ბანკის მენეჯმენტს საშუალებას აძლევს ოპერატიულ რეჟიმში უყუროს რისკის დონის ცვლილებას, დროულად შეაფასოს და გამოავლინოს ტენდენციები. საკრედიტო რისკის რეიტინგი ბანკს ესმარება ხარისხიანად და დროულად შესრულოს შემდეგი ფუნქციები: 1) სესხის დამტკიცება და გაცემა, 2) სესხის ფასდადება, 3) სესხის რეზერვების შექმნა, 4) საკრედიტო რისკის ადეკვატური კაპიტალით დაფარვა, 5) საკრედიტო პორტფელის მართვა.

⁷ Basle Committee on Banking Supervision, (1999), Credit Risk Modeling: Current Practices and Applications, Basle, from <http://www.bis.org>.

ბანკი აკეთებს რეიტინგის კონკრეტულ დეფინიციას, ქმნის პროცესებს და კრიტერიუმებს⁸, რომელთა გამოყენებითაც ყოველ კონკრეტული საკრედიტო რისკის პოზიციის ენიჭება შესაბამის რეიტინგის კლასი. რეიტინგის კლასი საკმარისად დიფერენცირებული უნდა იყოს იმისთვის, რომ ყოველი სესხი იყოს მიკუთვნებადი მისი რისკის შესაბამისი რეიტინგის კლასის დონესთან. ჭარბი კონცენტრაციის თავიდან ასაცილებლად, მინიმუმ შვიდი რეიტინგის ხარისხი უნდა გამოეყოს მოქმედ სესხებს და ერთი უიმედო სესხებს⁹.

საცალო სესხები იყოფა კალათებად და კლასიფიცირდება აღებული რისკის შესაბამის რეიტინგის კლასად. ყოველი კალათისთვის განისაზღვრება საკრედიტო დანაკარგის მახასიათებლები (PD, LGD და EAD). ამგვარი სესხების სიმრავლიდან გამომდინარე, მცირე ზომის ბანკებშიც შესაძლებელია მოდელის მოცემული პარამეტრების საიმედო შეფასება.

საკრედიტო რეიტინგზე გავლენას ახდენს სამი ფაქტორი: ბიზნესის რისკი, ფინანსური რისკი და მაკროეკონომიკური მდგომარეობა. ბიზნეს რისკის შეფასებაში გამოვიყენებთ სამ ცვლადს: 1) ფირმის ზომა, 2) კაპიტალის სისტემური რისკი – ბეტა კომპონენტი და 3) კაპიტალის არასისტემური რისკი – არა-ბეტა კომპონენტი.

ფირმის ზომა შეიძლება შეფასდეს ფირმის კაპიტალის საბაზრო ღირებულებით ან მთლიანი აქტივების რეალური ღირებულებით. მეორე ცვლადი კაპიტალის ბაზრის მოდელით ფასდება, მესამე კი – საბაზრო მოდელთან დაკავშირებული სტანდარტული შეცდომა. საბაზრო რისკთან უარყოფითად არის კორელირებული ფირმის ზომა, ხოლო დადებითად მეორე და მესამე ცვლადი. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც კაპიტალის ბაზარი კარგად არის განვითარებული, β კოეფიციენტები ხელმისაწვდომია. მაგრამ, იქ, სადაც ეს ასე არ არის, უნდა გამოვიყენოთ სხვა ცვლადები. მაგალითად, გაყიდვების ოდენობა, ნედლეულის ფასი, კონკურენცია, საბაზრო წილი, და სხვა.

ფინანსური რისკის ანალიზი ეფუძნება ძირითად ფინანსურ კოეფიციენტებს. ამ მიზნით, სარეიტინგო კომპანიები იყენებენ სხვადასხვა და სხვადასხვა რაოდენობის ფინანსურ კოეფიციენტებს. მაგალითად, S&P იყენებს 8 ძირითად ფინანსურ კოეფიციენტს, BLM – ოთხს. ამ ოთხიდან პირველი არის საპროცენტო ხარჯის გადაფარვის კოეფიციენტი; მეორე – ოპერაციული შემოსავლები გაყიდვებთან; მესამე – გრძელვადიანი სესხები აქტივებთან; მეოთხე – მთლიანი ვალდებულებები აქტივებთან. პირველი ორი პოზიტიურად იქნება კორელირებული რეიტინგთან, ხოლო ბოლო ორი – ნეგატიურად. ეკონომიკური ციკლების გავლენა რომ გამოირიცხოს, მიზანშეწონილი იქნება მოცემული კოეფიციენტების რამდენიმე წლიანი საშუალოს გამოყენება. რეიტინგის სსენებული სააგენტოები იყენებენ სამწლიან საშუალოს.

სარეიტინგო სააგენტოები იყენებენ განსხვავებული რაოდენობის რეიტინგის ხარისხებს: Moody's განასხვავებს 9 ხარისხის რეიტინგს (www.moody.com), Standard & Poor's – 10 ხარისხს (www.standardandpoors.com), Fitch – 12 ხარისხს (fitchratings.com). ბანკმა უნდა განსაზღვროს და გამოიყენოს იმდენი ხარისხის რეიტინგი რომ იყოს შესაბამისობა არსებულ და მოსალოდნელ რისკის დონეებთან. რეიტინგების მცირე დიფერენციაცია გამოიწვევს განსხვავებული რისკის სესხების კონცენტრაციას რეიტინგის ხარისხის ერთ

⁸ Guidelines on Internal Credit Risk Rating Systems, 2007, from <http://www.sbp.org.pk/bsrvd/2007/Annex-CB.pdf>.

⁹ Basle Committee on Banking Supervision, (2004), International Convergence of Capital Measurement and Capital Standards, Basle, from <http://www.bis.org>

დონეზე, რაც შეამცირებს საკრედიტო დანაკარგის პარამეტრების შეფასების საიმედოობას. მეორეს მხრივ, რეიტინგების ჭარბი დიფერენციაცია გაართულებს მიკუთვნების ცხადი კრიტერიუმების ჩამოყალიბებას და ადგილი ექნება სხვადასხვა რეიტინგის მიკუთვნებას ტოლი რისკის მსესხებლებისთვის. რეიტინგების დეფინიციის სიცხადე და დეტალურობა საჭიროა იმისთვისაც, რომ მესამე მხარისთვის (შიდა აუდიტი, ზედამხედველობა და სხვები) იყოს გასაგები კონკრეტული რეიტინგის მინიჭება. რეიტინგის მიკუთვნების კრიტერიუმები ვერ იქნება დამოუკიდებელი ბანკის შიდა საკრედიტო სტანდარტებისა და პოლიტიკებისაგან.

როდესაც ბანკი აკეთებს მსესხებლისთვის და საკრედიტო ინსტრუმენტისთვის რეიტინგის მინიჭებას, ის იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა არსობრივ ინფორმაციას. ინფორმაციის არასაკმარისობის შემთხვევაში, რაც ხშირად ხდება, ბანკმა უნდა გამოიყენოს კონსერვატიული მიდგომა რეიტინგების მიკუთვნებისას. თუ არსებობს გარე რეიტინგები და ბანკი დარწმუნებულია მათ საიმედოობაში, ბანკს შეუძლია მათი გამოყენება შიდა რეიტინგების მიკუთვნებაში, მხოლოდ საჭირო იქნება საკუთარი რეიტინგების სააგენტოს რეიტინგებთან ექვივალენტურობის შემოწმება.

მთავარია, რომ მსესხებლის რეიტინგის კლასის გადახედვა მოხდეს მისი მომავალი საქმიანობის მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით და არა მხოლოდ მისი საკრედიტო ისტორიაზე დაყრდნობით. რეიტინგი უნდა იყოს რისკის საზომი, რომელიც არანაკლებ ერთი წლის მანძილზე აფასებს ალბათობას იმისა, რომ მსესხებელი უპასუხებს წინასწარ დადგენილი პირობების შესაბამისად ვალდებულებებს. ზოგადად, მსესხებლის სამომავლო საქმიანობის შედეგები ეფუძნება ფინანსურ სიძლიერეს, რომელიც ასახავს ფაქტიურ და საპროგნოზო ფინანსურ ანგარიშებს (ბალანსი, მოგება-ზარალი). ვალდებულებების შესრულება ხდება ფულით, ამიტომ მსესხებლის კრედიტუნარიანობა ფოკუსირდება თავისუფალი ფულის წყაროებზე და მათი სტაბილურობის შეფასებაზე.

საკრედიტო რეიტინგი არ არის ფიქსირებული სტრუქტურა. ის ხასიათდება გარკვეული ცვალებადობით, რაც გამოიხატება მსესხებლების კლასიდან კლასში მიგრაციით. ამიტომ აუცილებელია რეიტინგების მიგრაციის მატრიცის შექმნა და პერიოდული განახლება. ამ მატრიცის ზოგადი სტრუქტურა ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ.

	AAA	AA	A	BBB	BB	B	CCC	D (Default)
AAA	mp _{1,1}	mp _{1,2}	mp _{1,3}	mp _{1,4}	mp _{1,5}	m _{1,6}	mp _{1,7}	DP ₁
AA	mp _{2,1}	mp _{2,2}	mp _{2,3}	mp _{2,4}	mp _{2,5}	mp _{2,6}	mp _{2,7}	DP ₂
A	mp _{3,1}	mp _{3,2}	mp _{3,3}	mp _{3,4}	mp _{3,5}	mp _{3,6}	mp _{3,7}	DP ₃
BBB	mp _{4,1}	mp _{4,2}	mp _{4,3}	mp _{4,4}	mp _{4,5}	mp _{4,6}	mp _{4,7}	DP ₄
BB	mp _{5,1}	mp _{5,2}	mp _{5,3}	mp _{5,4}	mp _{5,5}	mp _{5,6}	mp _{5,7}	DP ₅
B	mp _{6,1}	mp _{6,2}	mp _{6,3}	mp _{6,4}	mp _{6,5}	mp _{6,6}	mp _{6,7}	DP ₆
CCC	mp _{7,1}	mp _{7,2}	mp _{7,3}	mp _{7,4}	mp _{7,5}	mp _{7,6}	mp _{7,7}	DP ₆

მატრიცის ყოველი არადიაგონალური ელემენტი (mp_{i,j}) უჩვენებს ერთი კლასის რეიტინგის სესხის გადასვლას სხვა რეიტინგის კლასში. დიაგონალური ელემენტი (mp_{i,i}) კი უჩვენებს სესხის იმავე კლასში დარჩენის ალბათობას. ბოლო სვეტი უჩვენებს ყოველი კლასის სესხის დიფოლტის ალბათობებს.

ასეთი მატრიცი უნდა შეიქმნას ყოველი საკრედიტო პროდუქტისთვის. მისი შექმნა მოითხოვს დიდი რაოდენობის სესხების კლასიფიცირებას და მოი-

ცავს მინიმუმ ხუთწლიან პერიოდს¹⁰. Basel II – მა¹¹ მსხვილ საერთაშორისო ბანკებს ძლიერი სტიმული მისცა დაენერგათ საკრედიტო რისკის მოდელი და საკრედიტო რეიტინგების შიდა სისტემა. მათ საშუალოდ ხუთი წელი მოანდომეს ამ სისტემის დანერგვას და ამ პროცესის ფარგლებში მოუწიათ ბანკის რისკმენეჯმენტის, კონტროლის და მენეჯერული ინფორმაციული სისტემების რესტრუქტურირება და განვითარება ახალი ამოცანების მოთხოვნების შესაბამისად.

და ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ რთული სისტემის შექმნა- დანერგვით საქმე არ მთავრდება, შემდეგ დგება მისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების ამოცანა, რომელიც საკმარისად რთულია და მოითხოვს რესურსულ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას. მოცემული მოდელის შედეგები აქტუალური რომ იყოს, აუცილებელია ბანკს ჰქონდეს მასზე მონიტორინგის და შედეგების შეფასების ადეკვატური სისტემა, რომელიც დროზე გამოავლენს ახალ ტენდეციებს, ხარვეზებს, შეიმუშავებს გაუმჯობესების რეკომენდაციებს და მონიტორინგს გაუწევს მათ დანერგვას. აუცილებელია მუდმივად კეთდებოდეს ტესტირება შიდა რეიტინგების სისტემის, რომელიც რისკს აფასებს დიფოლტის ალბათობით და მოსალოდნელი ზარალით. ტესტირება ეფუძნება ისტორიულ მონაცემებს და ის უზენაეს მოდელით მიღებული შედეგები თუ ეთანხმება ფაქტიურს.

Lemonjava Givi

Academic Doctor of Economics

MODELING OF BANK CREDIT RISK

Summary

The article discusses issues related to the bank's credit risk modeling. In this context, analyzes the structure and components of credit risk measurement methods. Credit risk measured as a loss, Wich is a function of the several variables. The main function of the variables considered in the credit damage /default the risc of a number of open positions. After removal ratio of the credit risc damage and default expecting probability.

These variables are considered random quantities, they are one of the indicators and evaluation methods to integrate. The paper also discusses the formation of the objectives of the bank's internal credit ratings and the credit risk in use of a single model.

¹⁰ Greg M Gupton, Christopher C Finger & Mickey Bhatia, Credit Metrics – Technical Document, Morgan Guaranty Trust Co., New York, April 1997.

¹¹ Basle Committee on Banking Supervision, (2004), International Convergence of Capital Measurement and Capital Standards, Basle, from <http://www.bis.org>.

Romanec Olena

Ph.D. candidate,

Academy of Municipal Management (Ukraine)

GLOBAL PRACTICE OF REGULATION AND MAINTENANCE OF THE FOOD SECURITY AND POSSIBILITIES OF ITS APPLICATION IN UKRAINE

Study the global regulation of the practice and maintain food security. Grounded methodology for estimation of the resistance mechanisms to ensure physical access to food supply to population.

Keywords: *public policy, mechanism, evaluation of stability, food security food security regulation.*

Романец Е.А. Мировая практика регулирования и поддержания продовольственной безопасности и возможности ее использования в Украине

Исследованы мировую практику регулирования и поддержания продовольственной безопасности. Обосновано методологию оценки устойчивости механизмов обеспечения физической доступности продовольственного обеспечения населения.

Ключевые слова: *государственная политика, механизм, оценка устойчивости, продовольственная безопасность продовольственного обеспечения, регулирования.*

Introduction

